საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი N1

ქ. თბილისი **21.01.2015**

სხდომას ესწრებოდნენ:

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წევრები:

გიორგი კამკამიძე - შპს ნეოლაბის დირექტორი, სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე (შემდგომში - თავმჯდომარე)
მაია მიქაშავიძე - ა(ა)იპ - მართვის აკადემიის დამფუძნებელი პარტნიორი, თავმჯდომარის მოადგილე;
ნინო დავლაშერიძე - ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტთა უფლებების ლიგის წევრი, საბჭოს სხდომის მდივანი; (შემდგომში - მდივანი)
ნათელა სახოკია - ა(ა)იპ - სტრატეგიულ გამოკვლევათა ინსტიტუტის დირექტორი;
თამარ ბრეგვაძე - ა(ა)იპ - კავშირი განათლების პოლიტიკის, მართვის და დაგეგმვის საერთაშორისო ინსტიტუტის (EPPM) მთავარი მკვლევარი;
ნანა ცერცვაძე - ა(ა)იპ - საქართველოს ბიზნეს ასოციაციის სექტორული განვითარების ხელმძღვანელი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ანა ლელაძე;
ნინო გაგელიძე;
თამარ შენგელია;
ნინო ბერელიძე;
თამარ აფრასიძე.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
თამარ ვეფხვაძე;
დალი კანდელაკი;
დარეჯან გარდავაძე.

სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
ივანე ჯაგოდნიშვილი;
ნანა ხაზარაძე;
გივი ინანიშვილი;
თამარ ხოხობაშვილი;
მანანა აბუთიძე.

შპს საქართველოს უნივერსიტეტის წარმომადგენლები:
მაია ამაშუკელი;
ჯონი მწარიაშვილი;
კონსტანტინე თოფურია;
არჩილ ჯანგირაშვილი;
ნოდარ ხერხეულიძე;
გია გოგიბერიძე;
სულხან სულხანიშვილი;
კახაბერ თავზარაშვილი;
თინათინ ღუდუშაური;
ცირა ჩიკვაიძე;
მაია ჩხეიძე;
თამარ ლობჟანიძე;
ნათია კალაძე;
გიორგი მჭედლიშვილი.

აკრედიტაციის ექსპერტები:
თინათინ კუბლაშვილი;
ტარიელ სიხარულიძე;
ხათუნა საგანელიძე;
ზვიად როგავა;
მანანა ხაჩიძე;

აკრედიტაციის საბჭოს სხდომა 15:27 საათზე დაიწყო. მდივანმა შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის N65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 26-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, საბჭო უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ დაწესებულებების წარმომადგენლებს მიმართა, თუ ჰქონდათ აცილების საფუძველი საბჭოს რომელიმე წევრის მიმართ. აცილება არ დაფიქსირებულა.

სხდომის მდივანმა საბჭოს წევრებს მიუთითა „საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების“ 28-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის თანახმადაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთისმცოდნეობის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
3. სსიპ-საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
4. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
7. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
8. შპს საქართველოს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
9. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
10. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
11. შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ,ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
12. შპს საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა.

1.სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთისმცოდნეობის დამატებითი პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	რუსეთისმცოდნეობის დამატებითი პროგრამა
განათლების საფეხური	-
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	-
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	-
კრედიტების რაოდენობა	60

გამომდინარე იქიდან, რომ ექსპერტები საბჭოს სხდომას არ ესწრებოდნენ, ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ნინო ბერელიძემ წარადგინა. მან აღნიშნა, რომ დასკვნა დადებითი იყო და ამოიკითხა ექსპერტთა მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამაში გათვალისწინებულია სასწავლო კურსები რუსული ენა I და II, რაც მოიცავს რუსული ენის სწავლებას ელემენტარული დონიდან. სასურველია, პროგრამას დაემატოს რუსული ენა III და IV, რათა სტუდენტებს ჰქონდეთ ენის უფრო მაღალ დონეზე სწავლების შესაძლებლობა, მითუმეტეს, რამდენიმე სასწავლო კურსის სილაბუსში ძირითად ლიტერატურად მითითებულია მხოლოდ რუსულენოვანი ლიტერატურა;
- სასურველი იქნებოდა, სასწავლო კურსების სილაბუსებში მითითებული რუსულენოვანი ლიტერატურა ხელმისაწვდომი ყოფილიყო ქართულ ენაზეც და კურსის განმახორციელებლებს შეესრულებინათ სალექციო მასალების თაგმანები;
- ზოგიერთი სასწავლო კურსი შეფასების კრიტერიუმად იყენებს ლექციაზე დასწრების კომპონენტს, რაც შესაბამისად აქვს ჩაშლილი სილაბუსებში და მინიჭებული აქვს 10 ქულა (მაგ: რუსული ემიგრანტული ლიტერატურა, რუსეთის ბიზნეს გარემო, რუსეთის საგარეო ეკომონიმური ურთიერთობები, რუსეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია, რუსეთის ეკონომიკა, რუსეთის სახელმწიფო სისტემა და სხვა), რაც სრულყოფილად ვერ უზრუნველყოფს სასწავლო კურსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შეფასებას;
- მაინორ პროგრამაში სტუდენტს შეუძლია გააკეთოს არჩევანი ისეთი დარგებიდან, როგორიცაა პოლიტიკა, ისტორია, ლიტერატურა, ფილოსოფია, ეკონომიკა, ბიზნესი, შეთავაზებულია ასევე 1 სასწავლო კურსი სამართლის მიმართულებიდან (რუსეთის სახელმწიფო სისტემა). სასურველი იქნებოდა, პროგრამას არჩევით კომპონენტში დამატებოდა კურსები სამართლის მიმართულებიდან, რაც დააბალანსებდა და შესაბამისად, უზრუნველყოფდა სტუდენტებისათვის რუსეთისმცოდნეობის სფეროდან აუცილებელი, მრავალმხრივი და ინტერდისციპლინური ცოდნის მიღებას. მსგავსად, პროგრამის მოქნილობისთვის, უმჯობესი იქნებოდა ისეთი კურსების დამატება, რაც სტუდენტს მისცემდა საშუალებას, უფრო მეტი შეხება ჰქონოდა ცოცხალ ენასთან ლიტერატურის მიმართულებით, მაგ: XX-XXI საუკუნეების რუსული ლიტერატურის ძირითადი ტენდენციების, ასევე თანამედროვე რუსული ენის მედიის ტენდენციების შესწავლა.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მისცა აზრის გამოთქმის საშუალება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, პირველ რეკომენდაციასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საფაკულტეტო კურსების სახით ისწავლებოდა სამი ევროპული ენა - ინგლისური, ფრანგული და გერმანული, რომლებიც შემოთავაზებული იყო რვა საფეხურად, ხოლო რუსული ენა შეთავაზებული იყო მხოლოდ რუსული ფილოლოგიის პროგრამაზე და ექვს საფეხურად იყო ჩაშლილი, ხოლო საფაკულტეტო დონეზე წარმოდგენილი იყო ორი საფეხურის სახით (რუსული ენა 1, რუსული ენა 2). პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ექვსივე დონის სავალდებულო სახით შეთავაზება 30-კრედიტს შეადგენდა, რაც 60-კრედიტიანი დამატებითი პროგრამის შემთხვევაში, არ იქნებოდა მიზანშეწონილი. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში 2008 წლიდან მოქმედებდა რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები და გამოცდილებიდან გამომდინარე, ამ მიმართულებას ირჩევდნენ მხოლოდ ის სტუდენტები, ვინც ძალიან კარგად იცოდა რუსული ენა, მათ უწევდათ რუსულ წყაროებზე მუშაობა, რუსული ლიტერატურის კითხვა, თუმცა ბაკალავრიატში, თუ ამ პროგრამას აირჩევდა რუსული ენის არმცოდნე სტუდენტი, მას ჰქონდა საშუალება, შეესწავლა ენა ამ წლების განმავლობაში ფაკულტეტზე - რუსული ფილოლოგიის პროგრამაზე შემოთავაზებული 6 დონის ფარგლებში. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ ამ ყველაფრის გათვალისწინებით, რუსული ენის შესწავლას, მაინორ პროგრამის ფორმატში, შეგნებულად არ დაუთმეს 30 კრედიტი.

შემდეგ რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაში მხოლოდ ორი კურსში - რუსეთის ეკონომიკა და რუსეთის საზოგადოებრივი გეოგრაფია, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა იყო რუსულენოვანი, თუმცა ორივე მათგანის სალექციო ნაწილი სილაბუსის ავტორებმა გააკეთეს ქართულ ენაზე. მესამე რეკომენდაციაზე დაწესებულების წარმოამდგენელმა უპასუხა, რომ პროგრამის საკვალიფიკაციო აღწერაში, შეფასების ნაწილში მითითებული იყო არამხოლოდ დასწრება, არამედ ჯგუფში მუშაობაც, ანუ ეს ორი კომპონენტი ერთიანად მოიაზრებოდა, თუმცა ზოგიერთ ლექტორს ცალკე ჰქონდა გატანილი დასწრების კომპონენტი და ამაში პრობლემას ვერ ხედავდნენ, თანაც განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N3 ბრძანებაც მიუთითებდა სტუდენტის სამუშაო დატვირთვის სახით ლექციებზე დასწრებას, 10 ქულა კი არ აყენებდა ეჭვქვეშ სწავლის შედეგების მიღწევას.

ბოლო რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამის შემუშავებისას, განსაკუთრებით, როდესაც ინტერდისციპლინურია, ტარდება კონსულტაციები სხვა ფაკულტეტებთან, ამაში ჩართულია სხვადასხვა მიმართულების პერსონალი და ხდება ერთობლივი განხილვა, თუ რა კურსების შემოთავაზება შეუძლია ამა თუ იმ ფაკულტეტს. რუსეთისმცოდნეობის სამაგისტრო პროგრამის განხილვისას იურიდიული ფაკულტეტისგან შეთავაზებული იყო ორი საგანი 10 კრედიტის მოცულობით, ხოლო საბაკალავრო საფეხურზე, მიზანშეწონილად მიიჩნიეს კურსის სახელწოდებით „რუსეთის სისტემები" შემოტანა. პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ გარდა ამისა, რუსეთის ისტორიის კურსიც მოიცავდა სამართლის საკითხებსაც.

ლიტერატურის მხრივ საგნების დამატების რეკომენდაციასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებობდა როგორც ქართულენოვანი, ასევე რუსულენოვანი პროგრამა ამ მიმართულებით, შესაბამისად სტუდენტს ჰქონდა საშუალება, გარდა მაინორ პროგრამაში შემოთავაზებული ორი კურსისა (რუსული ლიტერატურის ისტორია და რუსული ემიგრანტული ლიტერატურა), სურვილის შემთხვევაში დამატებითი საგნები აეღოთ სწორედ იმ პროგრამებიდან, მაგ: რუსული მეტყველების კულტურა, გამოყენებითი რუსისტიკა, თანამედროვე რუსული ლიტერატურის აქტუალური პროლემები და ა.შ.

პროგრამის ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ მათ თავი აარიდეს საგნების ხელოვნურ გაზრდას, ფოკუსი გააკეთეს შინაარსობრივ პროპორციებზე - ისტორია, თანამედროვეობა,

ეკონომიკა, საზოგადოებრივი გეოგრაფია და გაითვალისწინეს უნივერსიტეტის რესურსები, მოიწვიეს თეატრალური უნივერსიტეტის ლექტორი, რომელიც კითხულობდა კურსს - რუსეთის ისტორია და კინო.

თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე, დაინტერესდა, რამდენ სტუდენტზე იყო გათვლილი პროგრამა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამა იყო ახალი, მისი არჩევა შეეძლოთ სხვა ფაკულტეტის სტუდენტებს და ჯგუფი დაკომპლექტდებოდა 25 მსურველისგან, თუმცა უფრო მეტსაც ელოდებოდნენ.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, დაწესებულების წარმომადგენელს კითხვით მიმართა, თუ რატომ არ გააკეთეს ძირითადი პროგრამა რუსეთისმცოდნეობაში.
დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ძირითადი, 240-კრედიტიანი პროგრამის შექმნას უფრო მეტი მუშაობა სჭირდებოდა, გასათვალისწინებელი იყო ბევრი გარემოება, თუმცა სამომავლოდ დაგეგმილი იყო.

თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა პროგრამის წინაპირობით. პროგრამის ხელმძღვანელმა უპასუხა, რომ წინაპირობა არ ჰქონდათ, თუმცა სტუდენტებს არჩევამდე უწევდნენ კონსულტაციებს, აცნობდნენ სილაბუსებს და შესაბამისად, თუ მიხვდებოდა სტუდენტი, რომ არ ეყოფოდა ენობრივი კომპეტენცია ამ პროგრამის დასაძლევად, არ აირჩევდა. საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ აღნიშნა, რომ გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, უკეთესი იქნებოდა, პროგრამაშიც ყოფილიყო მინიშნებები წინაპირობების შესახებ.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნული პროგრამით უფრო ხშირად ინტერესდებოდნენ რუსულენოვანი სტუდენტები, ძირითადად პოლიტოლოგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებების წარმომადგენლები.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, იკითხა, რატომ იყო შეთავაზებული რუსული ენის პირველი და მეორე დონე, თუ არსებობდა იმის მოლოდინი, რომ სტუდენტს უკვე უნდა სცოდნოდა ენა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ეს კურსები იყო არჩევითი და არა სავალდებულო.

საბჭოს წევრმა მაია მიქაშავიძემ გამოთქვა მოსაზრება, რომ უკეთესი იქნებოდა, დანარჩენი საფეხურებიც არჩევითი სახით ყოფილიყო. პროგრამის ხელმძღვანელმა განმარტა, რომ სტუდენტს, საკუთარი შეხედულებისამებრ, შეეძლო ეს კურსები აერჩია ძირითადი პროგრამიდან.

2.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქეოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1115
კრედიტების რაოდენობა	120

3.სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	არქეოლოგია
განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	არქეოლოგიის დოქტორი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	1115
კრედიტების რაოდენობა	180

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა თინათინ კუბლაშვილმა წარადგინა. საბჭოს წინა სხდომაზე განხილული იყო არქეოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ამიტომ, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები განიხილეს ერთობლივად.

თინათინ კუბლაშვილმა საბჭოს წევრებს ექსპერტთა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები გააცნო:

სამაგისტრო პროგრამისთვის:

- მართალია, პროგრამის განმახორციელებელ ძირითად აკადემიურ პერსონალს აქვს არქეოლოგიის სფეროში მოღვაწეობის გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ ვთვლით, რომ სასურველია, პროგრამას დაემატოს უშუალოდ არქეოლოგიის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რათა წინამდგებარე სამაგისტრო პროგრამა იყოს მეტად ადექვატურად აგებული დარგობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით, რაც მის კონკურენტუნარიანობას შეუწყობს ხელს;
- სასურველია, პროგრამის მატერიალურ ბაზას დაემატოს თანამედროვე დანადგარები და არსებული სასწავლო ფართი უკეთ კეთილმოეწყოს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პროგრამის ზოგიერთი სასწავლო კურსის სილაბუსში იდენტური შეფასების სისტემა და შეფასების კრიტერიუმებია მითითებული, თუმცა, ცხადია, რომ თეორიულ და პრაქტიკულ სასწავლო კურსებს შეფასების განსხვავებული მეთოდები და კრიტერიუმები ესაჭიროება. პროგრამის აკადემიურ პერსონალთან გასაუბრების დროს დადასტურდა, რომ ასეთი მეთოდები და სასწავლო კურსების სპეციფიკით განსაზღვრული კრიტერიუმები არსებობს კიდეც. გარდა ამისა, სასურველია, დაზუსტდეს, თუ რა ტიპის დავალება იგულისხმება ყოველკვირეულ დავალებაში (საშინაო დავალება თუ დავალება აუდიტორიაში ქვიზის სახით და ა.შ.) ამდენად, სასურველია, რომ ყველა ტიპის სასწავლო კურსის სილაბუსებში ადექვატურად იყოს ასახული დავალების ტიპები, შეფასების განსხვავებული მეთოდები და კრიტერიუმები;

- პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად ჩადებულია საერთო სამაგისტრო და სტუ-ს მიერ განსაზღვრული გამოცდები; მეტი გამჭვირვალობის თვალსაზრისით, სასურველია, დაკონკრეტდეს თუ რა სახის გამოცდის ჩაბარება მოეთხოვება სამაგისტრო დონეზე სწავლის გაგრძელების მსურველს;
- სასურველია, ლიტერატურის ნუსხა გამდიდრდეს მეტად თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო ნაშრომებით, თანამედროვე პუბლიკაციებითა და საინფორმაციო სახის ვებგვერდებით.

სადოქტორო პროგრამისთვის:

- მართალია, პროგრამის განმახორციელებელ ძირითად აკადემიურ პერსონალს აქვს არქეოლოგიის სფეროში მოღვაწეობის გარკვეული პრაქტიკული გამოცდილება, მაგრამ ვთვლით, რომ სასურველია, პროგრამას დაემატოს უშუალოდ არქეოლოგიის კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტები, რათა წინამდგებარე სამაგისტრო პროგრამა იყოს მეტად ადექვატურად აგებული დარგობრივი კომპეტენციების თვალსაზრისით, რაც მის კონკურენტუნარიანობას შეუწყობს ხელს;
- სასურველია, პროგრამის მატერიალურ ბაზას დაემატოს თანამედროვე დანადგარები და არსებული სასწავლო ფართი უკეთ კეთილმოეწყოს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით;
- პროგრამის „ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარსა“ და „ცოდნა გაცნობიერებაში“ ხშირად არის ნახსენები დოქტორანტის მიერ შესაძენი „ღრმა ცოდნა“; ვთვლით, რომ ცოდნის გაღრმავება ხდება სამაგისტრო დონეზე, ხოლო სადოქტორო პროგრამამ უნდა შესთავაზოს დოქტორანტს სრულიად ახალი, თანამედროვე კვლევებზე დაფუძნებული ცოდნა;
- სასურველია, რომ გარკვეული მოდიფიციკრება განიცადოს სასწავლო კურსმა „სამეცნიერო კომუნიკაციის ტექნიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები“, კერძოდ, კურსი გაიყოს ორ ნაწილად, მისი შინაარსიდან გამომდინარე, პირველი ნაწილი (ბოლონიის პროცესი, წერა-კომუნიკაციის სახეობა, ცხრილები, სქემები, გრაფიკები, ჩარჩო, აბზაცი, ციტირება და ა.შ.), გაფართვდეს და თუნდაც „აკადემიური წერის“ სასწავლო კურსის სახელწოდებით გადანაცვლებულ იქნას სამაგისტრო პროგრამაში; ხოლო მეორე ნაწილს დაემატოს სწავლების თანამედროვე მეთდების სიღრმისეული საკითხები და აღნიშNული სასწავლო კურსი პირველადი დასახელებით დარჩეს სადოქტორო პროგრამის კურიკულუმში;
- პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობად ჩადებულია გასაუბრება, სასურველია დაკონკრეტდეს გასაუბრების საკითხები მეტი გამჭვირვალობის თვალსაზრისით;
- სასურველია ლიტერატურის ნუსხა გამდიდრდეს მეტად თანამედროვე ქართული და უცხოენოვანი ლიტერატურით, სამეცნიერო ნაშრომებით, თანამედროვე პუბლიკაციებითა და საინფორმაციო სახის ვებგვერდებით.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგელს სიტყვა გადასცა და სთხოვა, ფოკუსირება მოეხდინა მატერიალურ ბაზაზე, მით უმეტეს, სადოქტორო საფეხური განსაკუთრებით საჭიროებდა თანამედროვე აღჭურვილობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტების ჯგუფს საქმიანი და კოლეგიალური მუშაობისთვის და აღნიშნა, რომ ბიზნეს ინჟინერინგის ფაკულტეტი ახორციელებდა 17 მიმართულებას, მათ შორის, არქეოლოგიის პროგრამას. მან განაცხადა, რომ 2015 წლის ბიუჯეტში ფაკულტეტის პროგრამული განვითარებისთვის, ლაბორატორიების გაუმჯობესებისთვის გამოყოფილი იყო მილიონ ლარამდე თანხა, რაც საშუალებას იძლეოდა, დანადგარები განეახლებინათ. პირველ რიგში იგეგმებოდა სწორედ არქეოლოგიის ლაბორატორიების გახსნა და აღჭურვა, ამისთვის დაწესებულების წარმომადგენლები გადიოდნენ კონსულტაციებს, რათა შეეჯერებინათ, რა სახის აპარატურა იყო საჭირო. აღნიშნულ საკითხს აფერხებდა დროში გაწელილი ტენდერები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სამივე საფეხურისთვის ჰქონდათ გაფორმებული მემორანდუმები და ხელშეკრულებები ეროვნულ მუზეუმთან, რაც უზრუნველყოფდა პრაქტიკის გატარებას. აკრედიტაციის შემთხვევაში კი იგეგმებოდა კადრების მოწვევა და კონკურსის გამოცხადება აკადემიურ პერსონალზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამასთან დაკავშირებით მიღებული რეკომენდაციები სრულად გაითვალისწინეს და წარმოდგენილი ჰქონდათ პროექტის სახით, რაც განხილული იყო ფაკულტეტის საბჭოზე და საჭირო აკადემიური საბჭოს დამოწმებას. ცვლილებები ეხებოდა ლიტერატურის გამრავალფეროვნებას - სახელმძღვანელოები უკვე შეძენილი და შეტანილი იყო ბიბლიოთეკაში, გადაიხედა მიღების წინაპირობები, წარმოდგენილი იყო სასპეციალიზაციო გამოცდის ერთ-ერთი ნიმუში.

დოქტორანტურის პროგრამაზე შემუშავებული რეკომენდაციებიც გათვალისწინებული იყო, მოდიფიცირდა გარკვეული სილაბუსების თემატიკა. აღნიშნული ცვლილებების პროექტი დაწესებულების წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს გადასცა.

საბჭოს წევრმა, თამარ ბრეგვაძემ, იკითხა აკადემიური წერის კურსი პროგრამის ფარგლებში ხორციელდებოდა თუ ფაკულტეტის დონეზე, ასევე დაინტერესდა კვლევის მეთოდების საკითხით.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ რამდენიმე სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებდა აკადემიური წერის კურსს. დოქტორანტურის საფეხურზე კი ეს საკითხი დებულებით იყო დარეგულირებული და ყველა პროგრამისთვის ცალ-ცალკე ხორციელდებოდა. კვლევის მეთოდებთან დაკავშირებით, მან განაცხადა, რომ არსებობდა დარგობრივი კურსები პროგრამიდან გამომდინარე.

საბჭოს წევრი, მაია მიქაშავიძე დაინტერესდა პერსონალის კვალიფიკაციით, თუ რატომ იყო პერსონალი შერჩეული მხოლოდ გამოცდილების საფუძველზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ძველად დიპლომში ყველას ისტორიკოსის კვალიფიკაცია ენიჭებოდა და არ იყო დაკონკრეტებული არქეოლოგის სპეციალიზაცია.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამაში ჩართულ პირებს დიდი პრაქტიკული გამოცდილება ჰქონდათ. მან აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მოწვეული სპეციალისტებისთვის ძალიან დაბალი ანაზღაურება იყო განკუთვნილი, რის გამოც დიდად არ ახლდებოდა პერსონალის შემადგენლობა. პროგრამის ხელმძღვანელმა განაცხადა, რომ დღევანდელ დღეს ტექნიკა და ტექნოლოგია წყვეტდა ყველაფერს და ბევრი ახალი აღმოჩენა სწორედ ამის დამსახურება იყო, უნივერსიტეტს კი ჰქონდა პოტენციალი, აღეზარდა კარგი სპეციალისტები, რადგან ასეთი პროგრამა სხვა დაწესებულებებში არ ხორციელდებოდა. პროგრამაში ჩართულები იყვნენ გეოლოგები, ფიზიკოსები და ერთობლივად ხდებოდა მისი დაგეგმვა.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ ზოგჯერ პრობლემა იმაშიც მდგომარეობდა, რომ უკვე აღმოჩენილი კულტურული მემკვიდრეობა არ შეისწავლებოდა ბოლომდე.

დაწესებულების წარმომადგენელმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა, რომ რეალურად პრობლემა ნივთის შენარჩუნება იყო, რადგან მისი მიტანა მუზეუმამდეც კი სირთულეს წარმოადგენდა, ამიტომ პროფესიონალი კადრების აღზრდა იყო საჭირო.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი საგამოცდო ტესტის ნიმუშიდან, რომელიც იყო განკუთვნილი მაგისტრატურის სტუდენტისთვის, წაიკითხა შეკითხვა, კერძოდ, „რას სწავლობს არქეოლოგია?“ და დაწესებულების წარმომადგენლებს მიმართა, რამდენაც მიზანშეწონილად მიაჩნდათ მაგისტრანტისთვის ასეთი მარტივი კითხვის დასმა გამოცდაზე.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ტესტი შედგებოდა როგორც მარტივი, ასევე რთული შეკითხვებისგან.

საბჭოს წევრი, ნანა ცერცვაძე დაინტერესდა პროგრამის წინაპირობებით.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა ახალი იყო და გეგმავდნენ პრეზენტაციის ჩატარებას მისი პოპულარიზაციისთვის. წინაპირობებით კი მსურველები არ იყვნენ შეზღუდული, ტესტში შეტანილი მარტივი კითხვებიც ამით აიხსნებოდა, რომ დაინტერესებული სტუდენტები სხვა ფაკულტეტებიდანაც მოდიოდნენ არქეოლოგიის პროგრამაზე.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, რა თანხა დასჭირდებოდა ლაბორატორიის მოწყობას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მიმდინარეობდა მოლაპარაკებები და კონსულტაციები ამის თაობაზე და არკვევდნენ, რა დანადგარები იქნებოდა საჭირო და რა რაოდენობით. მან აღნიშნა, რომ ეროვნული მუზეუმიც სთავაზობდა არქეოლოგიის სტუდენტებს თავის ბაზას.

საბჭოს წევრი, ნანა ცერცვაძე, დაინტერესდა, თუ ჰქონდა დაწესებულებას გაწერილი სამოქმედო გეგმა.

ექსპერტმა, თინათინ კუბლაშვილმა, უპასუხა, რომ ვიზიტის დროს ინახა ბაზები, შესწავლილ იქნა დოკუმენტაცია და დაწესებულებას წარმოდგენილი ჰქონდა ოქმები, სადაც სხვა ფაკულტეტების ჩართულობაც იყო ასახული.

4.შპს საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საჯარო მმართველობა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საჯარო მმართველობის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	1109
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ზვიად როგავამ. ექსპერტის თქმით პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველია სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში აღინიშნოს კურსდამთავრებულისათვის განსაზღვრული დასაქმების სფეროები და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობები;
- სასურველია სამართლის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში აღინიშნოს (მიეთითოს) ის სასწავლო კურსები, რომელთა სწავლებაც მიმდინარეობს ინგლისურ ენაზე (მაგალითად, ადამიანური რესურსების მართვა, განათლების მოდელები და სისტემები აშშსა და ევროპაში, აშშ-ს საგარეო პოლიტიკა და თავდაცვა, არასამთავრობო სექტორის მართვა, ადმინისტრაციული ლიდერობა საჯარო სექტორში და სხვ.);
- სტუდენტისათვის საჯარო სამართლის პროფესიული უნარ-ჩვევების გამომუშავების მიზნით, რაც გათვალისწინებულია საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებითაც, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულო კომპონენტის სახით ითვალისწინებდეს პრაქტიკის კომპონენტს;
- სასურველია გაიზარდოს სასწავლო კურსის - საჯარო სამართლის ძირითადი ინსტიტუტების კრედიტიც მოცულობა (6 ECTS) ან აღნიშნული სასწავლო კურსი გაიყოს მინიმუმ სამ სასწავლო კურსად, ვინაიდან აღნიშნული კრედიტის ფარგლებში შეუძლებელია სტუდენტმა მიიღოს ,,სისტემური ცოდნა საქართველოს კონსტიტუციაში განმტკიცებულ ადამიანის უფლებებსა და მათი დაცვის სამართლებრივ გარანტიებზე, საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებული საკითხების კონსტიტუციურ-სამართლებრივი რეგულირების თაობაზე; საქართველოს სახელმწიფო მმართველობის ფორმისა და ტერიტორიული მოწყობის თაობაზე, საქართველოს სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოთა სისტემაზე, საქართველოს პარლამენტის, პრეზიდენტის, მთავრობის, სასამართლო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა სისტემის, მათი უფლებამოსილებებისა და კომპეტენციის თაობაზე, ასევე სრულყოფილი ცოდნა საქართველოში საჯარო სამსახურის სისტემის, ორგანიზაციის და ფუნქციონირების პირობების თაობაზე; ადმინისტრაციულ ორგანოთა საქმიანობის ძირითადი პრინციპების ადმინისტრაციული წარმოების სახეების, ადმინისტრაციული აქტების გამოცემის, ძალაში შესვლისა და გასაჩივრების წესისა და პირობების თაობაზე''. გასათვალისწინებელია ამავე სასწავლო კურსის სილაბუსით გათვალისწინებული 9 სავალდებულო დამხმარე სახელმძღვანელო და 9 საკმაოდ მოცულობითი ნორმატიული აქტი.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ პირველი რეკომენდაციის გაზიარება ვიზიტის პროცესში მოხდა. გამოსწორდა ტექნიკური ხარვეზი და მოხდა პროგრამაში კურსდამთავრებულისათვის განსაზღვრული დასაქმების სფეროებისა და სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების აღნიშვნა. მეორე რეკომენდაციასთან მიმართებით, მან აღნიშნა, რომ სასწავლო კურსების უმრავლესობა ქართულენოვანია, მაგრამ მასალა საკმაოდ დიდი ოდენობით იყო ინგლისურენოვანი. მისი თქმით, პროგრამაში მოხდებოდა მითითება, რომ სწავლების ენა იყო ქართული, ინგლისური ენის კომპონენტებით. მესამე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათი კურსდამთავრებულების უმეტესი ნაწილი დასაქმებული იყო და შესაბამისად, პრაქტიკის კომპონენტის სავალდებულო კოპონენტად გაწერა არ იქნებოდა გამართლებული. მისი განმარტებით, აღნიშნული გამოიწვევდა კრედიტების არაეფექტურ გამოყენებას, ამასთან, სტუდენტებს ხელი შეეშლებოდათ თავის საქმიანობაში, არაანაზღაურებადი დასაქმების შეთავაზებით. ამ მიზეზთა გამო მოხდა პრაქტიკის კომპონენტის გაწერა არჩევითი კომპონენტების ბლოკში, ეს საშუალებას მისცემდა იმ სტუდენტებს, რომლებიც არ არიან დასაქმებულები, გამოიყენონ პრაქტიკის გავლის შესაძლებლობა. მეოთხე რეკომენდაციასთან მიმართებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ სასწავლო კურსი - საჯარო სამართლის ძირითადი ინსტიტუტები, წარმოადგენდა კომპილაციურ საგანს და გულისხმობდა სხვადასხვა აქტების ძირითადი დებულებების შესწავლას. მისი თქმით, ამ საგნის მიზანი არ იყო რომელიმე კონკრეტული სამართლის დარგის შესწავლა, მისი არსი მდგომარეობდა, სტუდენტის მიერ საჯარო სამართლის საფუძვლების კონცეპტუალურ გააზრებაში.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, ხომ არ ჰქონდათ შეკითხვები. საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

5.შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინფორმატიკა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინფორმატიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	0401
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა მანანა ხაჩიძემ.

ექსპერტის თქმით, განათლების ხარისხის ეროვნულ ცენტრში წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამაში შემავალი საგნების შინაარსი უზრუნველყოფდა პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, მაგრამ რიგი საგნების სათაური და შინაარსი საჭიროებდა მეტ შეჯერებას. აღნიშნულთან დაკავშირებული მითითებები იყო ტექნიკური ხასიათის და ისინი უნივერსიტეტის მიერ გათვალისწინებულ იქნა ვიზიტის პერიოდში.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგნელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული საქმიანობისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ ვიზიტის მსვლელობისას მოხდა ექსპერტთა ტექნიკური მითითებების გაზიარება და მათი ასახვა პროგრამაში.

საბჭოს წევრი, მაია მიქაშავიძე დაინტერესდა, რა არსებითი განსხვავება იყო ინფორმატიკის საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებს შორის.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მაგისტრატურის ეტაპზე კვლევითი კომპონენტის გაძლიერება ხდებოდა, სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებოდათ მეცნიერული კვლევის წარმოების.

საკითხის განხილვა დასრულდა.

ცენტრმა დააყენა შუამდგომლობა, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირებისა და საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამები განხილულიყო ბოლო საკითხებად, რადგან ექსპერტი არ იმყოფებოდა სხდომაზე.

6.შპს საქართველოს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საქართველოს ისტორია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საქართველოს ისტორიის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	100401
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თინათინ კუბლაშვილმა. ექსპერტის თქმით პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- არსებობს გარკვეული უზუსტობა პროგრამის თვითსეფასებასა და თავად პროგრამაში მოცემულ ინფორმაციას შორის. პროგრამის თვითსეფასების მიხედვით, სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (4 სემესტრი).

  საქართველოს უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის ისტორიის სამაგისტრო პროგრამით ისტორიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მისანიჭებლად საჭირო 120 ECTS ნაწილდება შემდეგნაირად:

  სასკოლო საგნები: 12 ECTS

  პროგრამის ძირითადი საგნები 90 ECTS, მათ შორის კვლევითი კომპონენტის, სამაგისტრო ნაშრომის მომზადება/დაცვა–30 ECTS;

  პროგრამის არჩევითი საგნები–18 ECTS

  თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ჩვენს ხელთ არსებული პროგრამის ერთ-ერთ ვერსიაში მოცემულია კრედიტების შემდეგი სახით გადანაწილება:

  სკოლის ძირითადი საგნები – 12 ECTS ;

  პროგრამის ძირითადი საგნები - 87 ECTS (მათ შორის: სამაგისტრო ნაშრომის შესრულებას საქართველოს ისტორიაში, რომლის მოცულობა 30 ECTS კრედიტითაა განსაზღვრული);

  პროგრამის არჩევითი საგნები - 21 ECTS. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის დირექტორთან გასაუბრების, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სკოლის საბჭოს #22-14, 06.11.2014 ოქმისა და ჩვენს ხელთ არსებული პროგრამის გაცნობის შემდგომ აღმოჩნდა, რომ პროგრამას გავლილი ჰქონდა გარკვეული მოდიფიცირება და თვითშეფასების ანგარიშში შეტანილი კრედიტების გადანაწილებაც სრულიად იდენტურია ახალი, მოდიფიცირებული პროგრამის კრედიტებისა.

  გარდა ამისა, ამავე თვითშეფასების ანგარიშში პროგრამის სახელწოდებაა „ისტორია", ხოლო ადგილზე შემოწმებული სამაგისტრო პროგრამაა ,,საქართველოს ისტორია". როგორც ჩანს, თვითშეფასების ანგარიშში დაშვებული ტექნიკური სახის შეცდომა. სასურველია, არ არსებობდეს მსგავსი უზუსტობები;
- სასურველი იქნებოდა საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაში მითითებული ყოფილიყო ინგლისურ ენაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის დონე;
- სასურველია სასწავლო კურსი „აკადემიური წერა და კვლევა" არ ითვალისწინებდეს მხოლოდ ინგლისურენოვან ლიტერატურას (იმის

გათვალისწინებით, რომ არ არის მკაფიოდ განსაზღვრული ინგლისური ენის რა დონე მოეთხოვება მაგისტრანტს სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვისათვის);

- სილაბუსებში მოწოდებულია ძირითადი ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სია, ზოგიერთ შემთხვევაში 30-40 სახელმძღვანელო, სასურველია, რომ მათი ნაწილი გადავიდეს დამხმარე ლიტერატურაში, ხოლო ძირითადი ლიტერატურის ნუსხა გამდიდრდეს თანამედროვე სტატიებით, სამეცნიერო ნაშრომებითა და საინფორმაციო სახის ვებ გვერდებით.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს თანამშრომლობითი გარემოს შექმნისათვის ვიზიტის პროცესში და პირველ რეკომენდაციასთან მიმართებით აღნიშნა, რომ ტექნიკური ხასითის უზუსტობა იყო. ასევე შეუსაბამობა, რომელიც კრედიტების განაწილებას ეხებოდა, ტექნიკური ხასითის უზუსტობას წარმოადგენდა. აღნიშნული რეკომენდაციები დაწესებულებამ გაიზიარა და მოხდა მათი ასახვა პროგრამაში. ინგლისურ ენაში შიდა საუნივერსიტეტო გამოცდის დონის მითითებასთან დაკავსირებით დაწესებუოლების წარმომადგენელმა განმარტა, რომ დებულებაში იყო მითითებული ინგლისური ენის B2 დონე და საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამაშიც მოხდებოდა მისი მითითება. სასწავლო კურსში - „აკადემიური წერა და კვლევა“ მოხდა ქართულენოვანი ლიტერატურის დამატებაც, დამატებითი ლიტერატურის ბლოკში. სილაბუსებში მოწოდებულ ძირითადი ლიტერატურის საკმაოდ ვრცელი სიასთან მიმართებით მან განმარტა, რომ მოხდებოდა მათი გადატანა დამატებითი ლიტერატურის ბლოკში, ხოლო ძირითადი ლიტერატურის ნუსხის თანამედროვე ლიტერატურით გამდიდრებასთან დაკავშირებით, მან აღნიშნა, რომ იგეგმებოდა რიდერების შედგენა.

საბჭოს წევრი, ნათელა სახოკია დაინტერესდა, თუ სად მოხდებოდა კურსდამთავრებულების დასაქმება.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულთათვის დასაქმების არეალი საკმაოდ ფართო იყო. მისი თქმით, მათ შეეძლოთ დასაქმება როგორც კერძო ისე სახელმწიფო სტრუქტურებში. დაწესებულებას გაფორმებული ჰქონდა მემორანდუმი, საჯარო და კერძო სკოლებთან და კურსდამთავრებულის მიერ მასწავლებლის მომზადების პროგრამის გავლის შემთხვევაში, ის სკოლაშიც შეძლებდა დასაქმებას.

7.შპს საქართველოს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	კულტურული და სოციალური ანთროპოლოგია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	110503
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ბეჟან ჯავახიამ. მან აღნიშნა, რომ კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამა წარმოადგენდა კარგად შემუშავებულ მულტიდისციპლინურ პროგრამას.

ექსპერტის თქმით პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაცია:

- წარმოდგენილ სილაბუსებში რამდენიმე საგანში (რელიგიის ანთროპოლოგია; ურბანული და ვიზუალური ანთროპოლოგია; ადამიანური რესურსების მართვა) მოცემულია მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, სასურველია ეს ხარვეზი შეივსოს შესაბამის პრობლემებზე არსებული ქართული ლიტერატურით (სტატიები და გამოკვლევები), ან მომზადდეს საკითხავი მასალა ქართულ ენაზე.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებს საქმიანი გარემოსათვის ვიზიტის პროცესში და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ექსპერტთა ჯგუფის რეკომენდაციას. მისი განმარტებით, სასწავლო კურსების სილაბუსებში მოხდა უკვე ქართული ლიტერატურის დამატება და იგეგმებოდა ასევე, უცხოენოვანი ლიტერატურის თარგმნა და რიდერების შედგენა.

საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამას აქამდე ახორციელებდა თუ არა დაწესებულება და თუ ჰყავდათ აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებული დოქტორანტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამას უკვე ახორციელებდა დაწესებულება და 3 კურსდამთავრებული ჰყავდათ, რომელთაგან ერთი ამჟამად მათი დოქტორანტი იყო.

8.შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ინგლისური ფილოლოგია
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ინგლისური ფილოლოგიის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	100502
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ნინო ქიმერიძემ. ექსპერტის თქმით, ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით სასურველი იქნებოდა სასწავლო გეგმის გარკვეული დეტალების მოდიფიცირება, კერძოდ:

- სასურველია ზუსტად აღიწეროს საგნის - თეორიული ენათმეცნიერება შინაარსი. თემატიკის მიხედვით დისციპლინა გულისხმობს ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიებსა და კვლევის უახლეს მეთოდიკას, ამ ეტაპზე კი საგნის სათაურიდან გამომდინარე არ ჩანს, რომ ლინგვისტიკის კვლევის მეთოდებიც ასევე განიხილება წინამდებარე სასწავლო დისციპლინაში. სავარაუდოდ, სასურველია თუ დისციპლინას კურიკულუმში წარმოდგენილი იქნებოდა კომპლექსური სათაურით: ლინგვისტიკის თანამედროვე თეორიები და კვლევის მეთოდები, რაც სამაგისტრო კურიკულუმის ერთ-ერთი არსებითი შემადგენელი ნაწილია, რომელიც საფუძველს ქმნის კვლევითი კომპეტენციების ჩამოსაყალიბებლად;
- გამომდინარე იქიდან, რომ ფილოლოგიური კვლევები და კვალიფიკაცია ფილოლოგი გულისხმობს არამხოლოდ ლინგვისტიკური, არამედ აგრეთვე ლიტერატურათმცოდნეობითი კვლევისა და ანალიზისი უნარის ჩამოყალიბებას, გარდა ამისა ფილოლოგიური კვლევების ინტერდისციპლინური ხასიათში დღესდღეისობით მოაზრებულია როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურათმცოდეობითი და კულტურის კვლევები დაფუძნებული დარგობრივ ცონდაზე, სასურველი იქნებოდა, თუ ლიტერატურათმცოდნეობითი კომპტენციების ფოკუსირება მოხდებოდა რომელიმე სასწავლო დისციპლინაში და შეივსებოდა სხვადასხვა ლინგვისტიკურ დისციპლინებში ლიტერატურული ტექსტის ანალიზითა და ინტერპრეტაციით კონკრეტულ მეთოდოლოგიაზე დაყრდნობით;
- სასურელია თუ სწავლისა და ცოდნის შედეგები გაიწერება დარგობრივი მოდულების შესაბამისად და მასში განზოგადდება ის ძირეული დებულებები, რაც ზუსტად ასახავდა და ჩამოაყალიბებდა ცოდნის საბოლოო შედეგს; სასურველია, თუ კი დაიხვეწებოდა სწავლის შედეგების კომპეტენციათა რუკა;
- სასურველია დეტალურად გაიწეროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდის ტიპი, რათა გამოცდის მონაწილე აპლიკანტებმა დეტალური წარმოდგენა იქონიონ გამოცდის ფორმატზე თეორიულ დისციპლინაში. ეს განმარტებული წინაპირობა საჭიროა იმ აპლიკანტთათვის, რომელთაც მიიღეს გადაწყვეტილება იმოქმედონ უმაღლესი განათლების კანონის 48ᵇ პუნქტის შესაბამისად და შეიცვალონ სპეციალობა უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე. ასევე სასურველია თუ უცხოური ენის კომპეტენცია განისაზღვრებოდა უცხოური ენების სწავლისა და სწავლების B^{2+}/C^{1} დონით, რაც აუცილებელია უმაღლესი განათლების მეორე საფეხურზე კვლევითი პროექტის დასასრულებლად. ენობრივი დონის განსაზღვრას უნდა ემსახურებოდეს აგრეთვე შესაბამისი დონის ვალიდური

ენობრივი ტესტის ნიმუშის შეთავაზება, რათა სტუდენტს სრულყოფილი წარმოდგენა შეექმნას საგამოცდო ფორმატზე (იხ. https://www.telc.net/en.html), ხოლო რაც შეეხება სასპეციალობო გამოცდას, გამომდინარე იქიდან, რომ სტუდენტმა პროგრამის დასასრულს უნდა წარმოადგინოს კვლევითი ნაშრომი, სასურველია შიდა მისაღები გამოცდების დროს შეფასდეს აპლიკანტის წერილობითი კომუნიკაციის უნარი დარგში;

- მიზნშეწონილად მიგვაჩნია, თუ პროგრამის აღწერილობით ნაწილში განიმარტებოდა, რომ რიგი სასწავლო დისციპლინების სასემინარო მუშაობა მიმდინარეობს უცხოურ (ინგლისური) ენაზე. გამომდინარე იქიდან, რომ პროგრამის სამუშაო ენაა ქართული ენა და რომ მაგისტრანტს არ ქონდეს მოლოდინი, რომ დისციპლინების სწავლებისა და სწავლის ფორმატი, დასამუშავებელი კრიტიკული ლიტერატურა მხოლოდ ქართულ ენაზე მიეწოდება მას, სასურველია პროგრამის განმახორციელებლებმა მიღების წინაპირობის აღწერილობით ნაწილში დამატებითი განმარტების სახით შეიტანონ ზემოხსენებული კორექტირება;
- უმაღლესი განათლების მეორე საფეხურის პროგრამებში, სადაც სტუდენტი ეუფლება კვლევის ტექნიკებს მნიშვნელოვანი და აგრეთვე სასურველია, თუ სასწავლო მასალის ფარგლებში რიდერთან ერთად სტუდენტს ცალკეული სასწავლო სილაბუსის ფარგლებში შეთავაზებული ექნებოდა უახლესი კვლევების ამსახველი კრიტიკული ლიტერატურა, რათა მას გამოუმუშავდეს სამეცნიერო ტექსტზე მუშაობის უნარ-ჩვევები; ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ რიდერის შემდგენელმა რიდერის ბოლოს მიუთითოს ის პირველწყარო, რომლის მიხედვითაც მომზადდა წინამდებარე სასწავლო მასალა.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ყველა რეკომენდაციას და ნაწილი მათგანის გათვალისწინება უკვე მოხდა პროგრამაში. მისი თქმით, ექსპერტთა რეკომენდაციები ემსახურებოდა ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამის გაუმჯობესებას.

საბჭოს თავმჯდომარე, გიორგი კამკამიძე დაინტერესდა, ახორციელებდა თუ არა აქამდე დაწესებულება ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ აღნიშნულ პროგრამას დაწესებულება ახორციელებდა, თუმცა ამჟამად სხვა სახელწოდებით იყო წარმოდგენილი, საკვალიფიკაციო ჩარჩოში განხორციელებული ცვლილებებიდან გამომდინარე.

საბჭოს თავმჯდომარემ, გიორგი კამკამიძემ მიმართა საბჭოს წევრებს, რომ შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის დასკვნები ერთმანეთის მიყოლებით წარედგინა ექსპერტთა ჯგუფს, ვინაიდან ორივე სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის სფეროდან იყო და ამის შემდეგ მიცემოდა დაწესებულების წარმომადგენლებს საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა განსახილველ საკითხებთან მიმართებით. საბჭოს წევრებმა გაიზიარეს საბჭოს თავმჯდომარის მოსაზრება.

9.შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	ჯანდაცვის ადმინისტრირება
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	ჯანდაცვის მენეჯმენტის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	020303
კრედიტების რაოდენობა:	120

10.შპს საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება:	საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ჯანდაცვის პოლიტიკა
განათლების საფეხური:	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია:	საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის მაგისტრი
სწავლების ენა:	ქართული
კვალიფიკაციის კოდი:	090405
კრედიტების რაოდენობა:	120

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს წინაშე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა ხათუნა საგანელიძემ.

ექსპერტის თქმით, ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასწავლო კურსების კომპონენტებისათვის, რომლებიც ასახავენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ლექცია–სემინარზე დასწრება, გამოცდა, ლაბორატორიული მეცადინეობა, ნაშრომის შესრულება, დამოუკიდებელი მუშაობა, და სხვა) განკუთვნილი დრო არ არის ნათლად და გასაგებად ასახული სილაბუსებში. კერძოდ, გაუგებარია რამდენი საკონტაქტო საათი ეთმობა შუალედური და ფინალური გამოცდების ჩაბარებას, ასევე გაუგებარია თუ რამდენი საათი ეთმობა ლექციების და რამდენი სემინარების ჩატარებას. მიზანშეწონილია გაიმიჯნოს სალექციო და სტუდენტების სემინარული/პრაქტიკული მუშაობის დრო, დამოუკიდებლად გაიწეროს მათი თემატიკაც და შესაბამისად, სამუშაო აქტივობებს მოერგოს სწავლებისა და შეფასების მეთოდები;
- უნდა აღინიშნოს, რომ კომპეტენციების მატრიცაში გაწერილი სწავლის შედეგები არ შეესაბამება სილაბუსებში ასახულ მისაღწევ კომპეტენციებს. მაგალითად, საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკის, ჯანდაცვის მენეჯმენტის სილაბუსებში;
- მიზანშეწონილია, პროგრამის გამჭირვალობის მიზნით საგნებზე დაშვების წინაპირობები იყოს ასახული პროგრამაში (სასწავლო გეგმაში);
- მიზანშეწონილია, სილაბუსებში გაიწეროს თუ რა შემთხვევაში სტუდენტი დაიშვება ფინალურ გამოცადაზე;
- სილაბუსებიდან არ ჩანს, თუ რას ითვალისწინებს და როგორ ფასდება ყოველკვირეული ქვიზები (წერითი შეფასება), რაც განსაკუთრებით

მნიშვნელოვანია, რადგან უნივერსიტეტში მიღებულია უნიფიცირებული შეფასების სისტემა.

ექსპერტის თქმით, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და დახვეწის მიზნით, შემუშავდა შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- სასურველი გასწორდეს ,,საზოგადოებრივი ჯანდაცვა და ჯანდაცვის პოლიტიკა", ასევე ,,გარემო ფაქტორები და ჯანმრთელობა " სილაბუსებში ჩანაწერი, სადაც მოცემულია ჯგუფში მუშაობა, მაშინ როდესაც თემატიკით და პუნქტ ,,ხანგრძლივობაში" მითითებულია მხოლოდ ლექცია;
- სასწავლო კურისის სილაბუსებში სასურველია გაიმიჯნოს საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები;
- სასურველია კომპეტენციების მატრიცა მოვიდეს შესაბამისობაში სილაბუსებში არსებულ კომპეტენციებთან. მაგ. ,,ჯანდაცვის მენეჯმენტი" სასწავლო კურსი მატრიცის მიხედვით ვერ გადის ,, ადმინისტრაციული ურთიერთობების სპეციფიკის, მმართველობის ცნებისა და ადმინისტრაციული ორგანოების სპეციალური უფლებამოსილების ცოდნის" კომპეტენციაზე, რასაც ითვალისწინებს სილაბუსი;
- სასურველია არჩევითი საგანები ,, სამედიცინო ხარისხის უზრუნველყოფა და გაუმჯობესება", ,,ადამიანური რესურსების მართვა ჯანდაცვაში" გადავიდეს ძირითად საგნებად, ხოლო ,,მენეჯერული ეკონომიკა", ვინაიდან მენეჯერული ეკონომიკის ძირითადი საკითხები განიხილება ,,ჯანდაცვის ეკონომიკა და დაზღვევის" ძირითად სასწავლო კურსში, გადავიდეს არჩევით საგნად.

გიორგი კამკამიძემ, საბჭოს თავმჯდომარემ, საკუთარი მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტთა ჯგუფს შემუშავებული რეკომენდაციებისათვის ორივე სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით და აღნიშნა, რომ დაწესებულება იზიარებდა ყველა რეკომენდაციას და მოხდებოდა მათი ასახვა პროგრამაში. მისი განმარტებით, ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამა სხვადასხვა მიმართულების იყო, მიუხედავად იმისა, რომ ორივე სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის სფეროს მიეკუთვნებოდა. ძირითადი საგნების მიხედვით ადვილად შეიძლებოდა აღნიშნული პროგრამების განსხვავება. ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამასთან მიმართებით, რომელიც მენეჯმენტის მიმართულებას წარმოადგენდა, მან აღნიშნა, რომ იგეგმებოდა აღნიშნული პროგრამის კიდევ მეტად მოდერნიზაცია საერთაშორისო პროგრამების შესაბამისად. ამასთან, მან აქვე დასძინა, რომ ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მაგისტრანტი კარგად უნდა ფლობდეს მმართველობითი ეკონომიკის ყველა მიმართულებას, აღნიშნული გავლენას ახდენს მიკროეკონომიკული გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

საბჭოს წევრი, თამარ ბრეგვაძე დაინტერესდა, აღნიშნულ პროგრამებს ჰქონდა თუ არა შინაარსობრივი გადაკვეთა სხვა საგანმანათლებლო პროგრამებთან.

დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამით გათვალისწინებულ სასწავლო კურსები მოიცავს ისეთ თემებს, რომლებიც ზღვარზეა ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამით გათალისწინებულ თემებთან. არსებითი განსხვავება მათ შორის კვლევით კომპონენტში მდგომარეობდა. ამასთან, მაგისტრანტის პრეროგატივა იყო, თუ რა მიმართულებით წაიყვანდა ის კვლევას. მან აქვე დასძინა, რომ ამ ორ პროგრამას განასხვავებდა ასევე მიზანი. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა უფრო მეტ წილად სამართლის

მიმართულების კუთხით იყო გაძლიერებული, ხოლო ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა ჯანდაცვის მიმართულების კუთხით.

საბჭოს სხდომაზე გამოცხადდა შესვენება 17:35 საათზე. სხდომა განახლდა 17:55 საათზე. საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რუსეთისმცოდნეობის დამატებით პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქეოლოგიის სადოქტორო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინფორმატიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის კულტურული და სოციალური ანთროპოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ინგლისური ფილოლოგიის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ჯანდაცვის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და ჯანდაცვის პოლიტიკის სამაგისტრო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია (მომხრე - 6; წინააღმდეგი -0).

11.შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	ბიზნესის ადმინისტრირება
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	02
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს ექსპერტმა ტარიელ სიხარულიძემ გააცნო და წაიკითხა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამა ითვალისწინებს მოდულის (ფინანსების მოდული, მენეჯმენტის მოდული, მარკეტინგის მოდული, 54-54 კრედიტის სახით) გაღრმავებული დაუფლებისათვის აუცილებელ სასწავლო კურსებს, ამიტომ სასურველია პროგრამის აღწერაში აისახოს ამ მოდულების შესაბამისი შედეგები.
- სასურველია სილაბუსებში უნივერსიტეტში არსებული სტანდარტის მიხედვით მიეთითოს არა მხოლოდ ძირითადი გამოცდების კვირების რაოდენობა, არამედ დამატებითი გამოცდების ვადებიც/კვირებიც. ასევე, სასურველია წარმოდგენილ პროგრამასა და სილაბუსებში აისახოს კონკრეტულად საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათების დაყოფა. (რადგან სამაგისტრო დებულებაში მითითებულია, რომ შუალედური ჩატარდება მინიმუმ 2 საათი და დასკვნითი გამოცდა 3 საათი, ხოლო სილაბუსში მთლიანად გაწერილია სტუდენტის დატვირთვა შუალედურისთვის მზადება და ჩაბარება სულ 20 სთ, რაც გაუგებარია)
- რეკომენდირებულია წინაპირობების დალაგება, რაც უფრო მოქნილს გახდის პროგრამას. კერძოდ, ზოგიერთ საგანს, სადაც არ არის მითითებული წინაპირობები მიეთითოს ის საგანი, რომელიც უშუალოდ მის წინაპირობას წარმოადგენს მაგ. მარკეტინგის კვლევები-მარკეტინგ-მენეჯმენტი, საერთაშორისო ფინასნები-ფინანსები (რაც ინტერვიუს დროს თავად საგნის ლექტორებმაც აღნიშნეს);
- სამაგისტრო პროგრამა ითვალისწინებს სამაგისტრო ნაშრომის დაცვას, აქედან გამომდინარე რეკომენდირებულია ისწავლებოდეს აკადემიური წერა, კვლევის მეთოდები და პროფესიული პრაქტიკა;
- ზოგიერთ საგანში შეფასების სისტემა საჭიროებს დახვეწას, კერძოდ, მითითებულია მხოლოდ ქვიზის 24 ქულა და ერთი სასურველია დაემატოს, რომ არის 12 ქვიზი და თითო 2 ქულიანი.
- წარმოდგენილ პროგრამის ცხრილის მიხედვით დამოუკიდებელი მუშაობის საათებში არ ჩანს შუალედური გამოცდის ჩაბარებაზე დახარჯული საათები, ასევე საჭიროებს დაზუსტებას საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათები,
- რეკომენდირებულია სტრატეგიული მენეჯმენტი მენეჯმენტის მოდულის ნაცვლად ისწავლებოდეს ძირითად მოდულში, ხოლო მომხმარებლის ქცევა, რომელიც მენეჯმენტის მოდულშიც ისწავლება და მარკეტინგის მოდულშიც, ანუ პროგრმაში ორჯერ ზის ერთიდაიგივე საგანი, მენეჯმენტში არ უნდა იყოს, როცა ის ისწავლება ისედაც მარკეტინგის მოდულში და სტუდენტს თავისუფლად შეუძლია მისი არჩევა.

საბჭოს თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენლებს მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული პროგრამა არ წარმოადგენდა ვიწრო სპეციალიზაციას და განაცხადა რეკომენდაციების საფუძველზე

განხორციელებული ცვლილებების შესახებ, კერძოდ, გაკეთდა ჩანაწერი სამაგისტრო ნაშრომის მომზადება და ჩაბარება ზუსტად რამდენ ხანს გრძელდებოდა. რეკომენდაციის მიხედვით დალაგდა წინაპირობები, მაგალითად, მარკეტინგის კვლევის წინაპირობად განისაზღვრა სასწავლო კურსი მარკეტინგში. აკადემიური წერის სასწავლო კურსი ცალკე არ იყო გათვალისინებული პროგრამით, თუმცა აკადემიური წერის საკითხები გათვალისწინებულია ორ სასწავლო კურსში მარკეტინგის კვლევასა და ბიზნეს სტატისტიკაში, დაწესებულების წარმომადგენლების თქმით, შესაძლებელი იყო აკადემიური წერის ცალკე სასწავლო კურსად შეთავაზებაც. გათვალისწინებულ იქნა შეფასების სისტემასთან დაკავშირებული რეკომენდაცია. ჯამში ყველა რეკომენცადია დაწესებულებისათვის მისაღები და გასათვალისწინებელი იყო.

საბჭოს წევრმა, ნათელა სახოკიამ აღნიშნა, რომ აკადემიური წერის სწავლება საბაკალავრო დონეზე საკმარისი იყო და მაგისტრატურაში აღარ წარმოადგენდა აუცილებლობას.

დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით, ბაკალავრიატში ყველა პროგრამის ფარგლებში ისწავლებოდა აკადემიური წერა იმდენად ამომწურავად, რომ მაგისტრატურაში აღარ წარმოადგენდა საჭიროებას. თუმცა სამართლის სამაგისტრო პროგრამა, სპეციფიკიდან გამომდინარე, ითვალისწინებდა აკადემიური წერის კურსს.

თამარ ბრეგვაძის აზრით, როდესაც მეთოდები წვრილ-წვრილად ისწავლებოდა არ იყო ამომწურავი. აკადემიური წერით გათვალისწინებული უნდა ყოფილიყო სამაგისტრო ნაშრომის ჩამოყალიბება.

12.შპს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა

პროგრამის მოკლე აღწერა:

პროგრამის დასახელება	საერთაშორისო ურთიერთობები
განათლების საფეხური	მაგისტრატურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საერთაშორისო ურთიერთობების მაგისტრი
სწავლების ენა	ქართული
კვალიფიკაციის კოდი	0705
კრედიტების რაოდენობა	120

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს გააცნო ექსპერტმა ტარიელ სიხარულიძემ და წაიკითხა ჯგუფის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები:

- პროგრამაში გამოყენებული ლიტერატურა შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს და მართლაც გაჰყავს სტუდენტი პროგრამაში მითითებულ მიზნებსა და შედეგებზე. სასურველია, რომ ძირითადი ლიტერატურა და დამატებითი ლიტერატურა იყოს გაზრდილი; აკადემიურმა პერსონალმა წიგნებთან ერთად მეტად გამოიყენოს აკადემიური და ანალიტიკური სტატიები, რომელიც ხელმისაწვდომია Jstore, Ebsco, Cambridge Journals. ძალიან კარგია, რომ ლიტერატურაში მითითებულია გვერდები, რაც სტუდენტებს უადვილებს სასწავლო თემებისთვის მომზადებას.
- მისასალმებელია, რომ ზოგი სასწავლო კურსი, მაგალითად დიპლომატიის თეორია და პრაქტიკა ითვალისწინებს პრაქტიკულ კომპონენტს. კურსის სილაბუსით გათვალისწინებულია მოლაპარაკებების ელემენტების შესწავლა, რაც პრაქტიკულ კომპონენტსაც ითვალისწინებს. სასურველია, რომ ეს პრაქტიკული კომპონენტი განხორციელდეს როლური თამაშების, ქეისების შესწავლი გზით, რაც მოლაპარაკებების აპრობირებული მეთოდია. გარდა ამისა, შეიძლება ცალკე კურსის შეტანა მოლაპარაკებების მეთოდებსა და პრაქტიკაში, ან საერთაშორისო მოლაპარაკებებში.
- სასურველია, რომ არჩევით საგნებში არსებული კურსი განათლების "მოდელები და სისტემები აშშ-სა და ევროპაში" ამოღებული იყოს აღნიშნული პროგრამიდან.
- უნდა აღინიშნოს, რომ სილაბუსები ძირითადად სწორად არის სტრუქტურირებული. ზოგ სილაბუსში სასურველია, უკეთ გაიწეროს სწავლის შედეგების კომპონეტი, რაც ნაწილობრივ მოხდა ორ სილაბუსში ვიზიტის დროს. (მაგალითად "ევროკავშირის ინტეგრაცია, პოლიტიკური და ეკონომიკური ასპექტები" ამ სილაბუსიდან ამოღებული იყო ზუნდოვანი ფორმულირებები.). ასევე სასურველია სილაბუსებში უკეთ იყოს გაწერილი საკონტაქტი და დამოუკიდებელი სამუშაოსათვის გამოყოფილი საათების გადანაწილება. ძირითადად სილაბუსებში სტრუქტურა ერთგვროვანია (28 – 50 – 50 – 22).

- სასურველია, პროგრამაში გაიზარდოს არჩევითი საგნების ნუსხა. დღეს დღეისობით არჩევითი საგნები შეადგენს მხოლოდ 54 კრედიტს.
- უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტის ვებსაიტი საკმაოდ ინფორმაციულია. გაწერილია პროგრამაზე მიღების პირობები. სასურველია, რომ ფორმულირებაში "ჩააბაროს უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული გამოცდა ინგლისურ ენაში" ჩაემატოს ინგლისური ენის ცოდნის დონე "B2". სასურველია, რომ ლინკზე მაგისტრატურის სპეციალობაში ჩაბარების წესი http://ug.edu.ge/gi/rule.docx ატვირთული იყოს არა მხოლოდ "სამართლის სპეციალობის გამოცდის ჩატარების და შეფასების კრიტერიუმების წესი მაგისტრატურაში," არამედ საერთო წესი ან თითოეული სკოლის მიერ შემუშავებული წესი ცალკე სპეციალობებისათვის.

- უნივერსიტეტს გააჩნია მემორანდუმები, როგორც სამთავრობო ასევე კერძო სექტორთან, რაც მისასალმებელია. სასურველია, უნივერსიტეტმა გააღრმავოს ურთიერთობები სახელმწიფო სტრუქტურებთან (ძირითადად სამინისტროები) და სახელმწიფოში მოქმედ საერთაშორისო ორგანიზაციებთნ სტაჟირებებისა და დასაქმების პროგრამების განვითარების მიზნით.

საბჭოს თავმჯდომარემ მოსაზრების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა დაწესებულების წარმომადგენლებს.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნათია კალაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს რეკომენდაციებისა და გაწეული სამუშაოსათვის. სილაბუსებში სწავლის შედეგების კომპონენტების გაწერასთან და პროგრამაზე მიღების წინაპირობების ვებ გვერდზე მოცემული ინფორმაციის სრულყოფასთან დაკავშირებულ რეკომენდაციაზე განმარტა, რომ ვიზიტის დროსვე შესწორდა. დამხმარე და ძირითადი ლიტერატურა შესაძლებელი იყო დამატებოდა სამომავლოდ, თუმცა რეალობიდან გამომდინარე, იმ დროისათვის ვერ მოხერხდებოდა და "online UG" მეშვეობიოთ ხდებოდა სტუდენტებისათვის საჭირო თემატიკასთან დაკავშირებული ლინკების მიწოდება. მომდევნო წლიდან შეიძლებოდა სილაბუსში ყოფილიყო მითითებული. „განათლების მოდელები და სისტემები აშშ-სა და ევროპაში" იყო პროგრამის არჩევითი საგანი და სტუდენტებთან ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე იქნა ჩასმული და შესაძლებელი იყო სამომავლოდ ამოღებული ყოფილიყო თუ მოთხოვნა არ იქნებოდა სტუდენტების მიერ. პროგრამის შემუშავების დროს მიზანშეწონილად ჩაითვალა 54 კრედიტის დაგროვება არჩევითი საგნებით, თუმცა შესაძლებელი იყო მისი გაზრდაც. დაწესებულების წარმომადგენლების განმარტებით ვერ მოხერხდა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფისათვის მემორანდუმების მიწოდება, თუმცა რეალურად გაფორმებული ჰქონდათ საგარეო საქმეთა სამინისტროსთან, სხვა სახელმწოიფო და არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან რაც გულისხმობდა სტაჟირებას, დასაქმებას, ერთობლივი პროგრამების შემუშავებას და ა.შ.

18:25 საათზე საბჭოს სხდომაზე შესვენება გამოცხადდა. სხდომა განახლდა 18:30 საათზე.

საბჭოს თავმჯდომარემ დამსწრე საზოგადოებას გააცნო საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები:

- შპს საქართველოს უნივერსიტეტის ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);
- შპს საქართველოს უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამაგისტრო პროგრამას მიენიჭა აკრედიტაცია (მომხრე - 5; წინააღმდეგი - 0);

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომა 18:40 საათზე დასრულდა.

თავმჯდომარე
გიორგი კამკამიძე

მდივანი
ნინო დავლაშერიძე